№ 181 28 აგვისტო, ხუთშაბათი 1866—1880 28 აგვისტო ხუთშაბათი № 181

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

[illegible] მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

[illegible] „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба«-»Иверія«

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხელმწიფის დღესასწაულის გამო გუშინ გაზეთი არ გამოსულა.**

---

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

რაგუზა, 24 აგვისტოს. დღეს აქ მოვიდა გერმანიის ერთი და ინგლისის ორი კორვეტი სამხედრო ხომალდები ახლა რაგუზაში სრული თითხმეტია შეკრებილი

---

## სოფლის მასწავლებელთა კრება ქუთაისში

ტფილისი, 27 აგვისტოს.

ათი წელიწადი იქნება, რაც პირველად დაიწყეს ჩვენში სასოფლო შკოლების გამართვა. ამ ათის წლის განმავალობაში მხოლოდ ორჯერ იყო სასოფლო შკოლების მასწავლებელთა კრება, ერთი ხონში ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებისა და მეორეც თფილისში თფ. გუბ. მასწავლებლებისა.

ეს გარემოება, ეს ასე იშვიათად სოფლის მასწავლებლების ერთად შეკრება მით უფრო სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ სოფლის შკოლის საქმე ჩვენში ჯერ სულ ნორჩი საქმეა, ამ შკოლების პროგრამმა ჯერ რიგიანად არ არის გამოკვლეული და თვით მასწავლებლებიც ისეთი სუსტები და მოუმზადებლები გვყავან, რომ ამათ ყოველ ნაბიჯზე ეჭირებათ გზის ჩვენება, ახსნა და განმარტება ყოველის პედაგოგიურის საგნისა.

არა თუ ჩვენში, ჩვენზედ ერთიათად უფრო დაწინაურებულ და განათლებულ ქვეყნებშიაც კი არ მოიპოებიან ისეთი მასწავლებლები სოფლის შკოლებისათვის, რომელთაც კარგათ, ზედ-მიწევნით იცოდნენ თავის საქმე, ნამდვილად შეეძლოსთ თავის მძიმე მოვალეობის აღსრულება და არაფერში არ ეჭირებოდესთ ხელმძღვანელი, დამრიგებელი. აი ამისთვის იქ, იმ უცხო, განათლებულ ქვეყნებში მუდამ წელიწადს ყოველს მაზრაში, ყოველს ქალაქში იმართება ხოლმე მასწავლებელთა კრება, რომელზედ მასწავლებელნი მოილაპარაკებენ იმაზედ—თუ როგორ, რა პროგრამმით, რა მეთოდით ასწავლიან ისინი თავიანთ შაგირდებს, რომელი სისტემა ანუ მეთოდა უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი გამოდგა, როგორ ეპყრობიან ისინი ყმაწვილებს, რა საგნებიდამ რამდენს გადიან, როგორი სახელმძღვანელოები აქვსთ, როგორი სახლები შკოლებისათვის, როგორი მებელი და სხვა მასალა სწავლისათვის და სხვ. და სხვ. ამ კრებაში იღებენ მონაწილეობას თვით უფროსი სოფლის მასწავლებელთა და პედაგოგიაში სხვა გამოცდილი პირებიც; ესენი ჰკითხულობენ მასწავლებელთათვის სამაგალითო ლექციებს, უჩვენებენ, უხსნიან—თუ რომელი საგანი როგორ უნდა გადასცეს სოფლის მასწავლებელმა თავის შაგირდებს, როგორ უნდა მოეპყრას იმათ, რომ თავის თავიც შეაყვაროს და სწავლაც და სხვ.

დიდი და განუზომელი სარგებლობა მოაქვს ხალხის განათლების საქმისათვის ამ გვარს კრებებს. მით უმეტეს უნდა იყოს ეს სარგებლობა იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც ჩვენში, მასწავლებლები თითქმის სრულიად მომზადებულნი არ არიან თავის მოვალეობისათვის და არც სწავლის პროგრამმა არის გამოკვლეული.

საუბედუროთ, ჩვენ სახალხო შკოლების დირექტორებს ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ და ამიტომაც ასე იშვიათად ახდენენ ხოლმე კრებებს სასოფლო შკოლების მასწავლებლებისას.

უწინ გვახსოვს ის ჩინებული შედეგი და სასარგებლო ნაყოფი, რომელიც მოიტანა თფილისის გუბერნიაში სასოფლო შკოლების მასწავლებელთა კრებამ 1878 წელს. ამ კრებაზედ პირველად იყო გარკვეული და მიღებული პროგრამმა ზოგიერთის საგნებისა, რომელთაც ყოველ პირველ-დაწყებითს სასწავლებელში ასწავლიან, როგორც მაგალითად წერისა, არითმეტიკისა, სამღვთო წერილისა და სხვ.

მაგრამ უშესანიშნავესი და უმძიმესი საგანი, რომელზედაც ამ კრებამ მოილაპარაკა და გარდაწყვიტა კიდეც საბოლაოთ იყო ის, რომ ყოველს პირველს-დაწყებითს სოფლის სასწავლებელში სწავლა უეჭველად და აუცილებლად ყმაწვილების სამშობლო ენაზედ უნდა მიდიოდესო.

1878 წლამდინ, ე. ი. ამ მასწავლებელთა კრებამდინ ზოგიერთი ვერც კი ჰბედავდნენ იმ უბრალო პედაგოგიურ ჭეშმარიტების გამოთქმას და სახალხოდ გამოცხადებას, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ყმაწვილებს უეჭველიდ იმათ სამშობლო ენაზედ უნდა გარდაეცესთ, რომ გაუგებარს ენაზედ სწავლება ყმაწვილის ნორჩ გონებას დაამახინჯებს, თუთიყუშად ხდის იმას და სხვ. ამ კრებაზედ კი ეს აზრი არა თუ გამოითქვა, არამედ ყველა მასწავლებლებმა სახელმძღვანელოდაც მიიღეს და ახლა თფ. გუბ.

---

დროების ფელეტონი, 28 აგვ.

---

## ფერის-ცვალება სოფ. რუისში

ამ წლის 6-ს აგვისტოს მე შემომიარეს რამდენიმე ჩემმა მეგობრებმა, რომელთაც მოეფიქრათ რუისში წასვლა, სადაც ფერის-ცვალებას დღესასწაულობენ და კარგი ლაზათიანი ქეიფობა იმართება ხოლმე. როგორც მოგეხსენებათ უსაქმური კაცის საქმე, რასაკვირველია, სიხარულით დავყაბულდი, პირველად იმიტომ, რომ საქმე არა მქონდა-რა და მეორეც კარგი ხანი იყო, რაც ქართლში ჯვარობები აღარ მენახა.

რადგანაც გორზედ უნდა გავსულიყავით, სანამ ცხენებს შევიბამდნენ, ჩვენ ჩამოვხტით ერთს სასტუმროში, რომელიც იქნება როდისმე იყო მონათლული და ატარებდა რომელსამე სახელს, მაგრამ ეხლა კი მეტრიკა დაჰკარგოდა და ჩემი სურვილი იმის სახელის შეტყობისა დარჩა ამაოდ. პირველსავე ფეხის შედგმაზედ ოთახებში ჩვენ გვეცა საშინელი ძმრის სუნი.

მთელს ქვეყანაზედ ყოველი ვაჭარი ცდილობს, თავის მუშტარს რამდენადაც შეიძლება, ასიამოვნოს და ჩვენ საქართველოში კი ერთს ისეთს ვაჭარს ვერ იპოვით, ამაზედ ჰფიქრობდეს.

რადგანაც რუისში ჩვენ სადილად დაგვიგვიანდებოდა, ამისთვის მოვისურვეთ, ხელათ პურის შეჭმა და სასტუმროს პატრონს მოვთხოვეთ, რომ რითიც იქნებოდა, ეზრუნვა ჩვენს მუცლებზედ. წარმოიდგინეთ ჩვენი განკვირვება, როდესაც იმისაგან პასუხათ მივიღეთ:

— არაფერი არ გახლავსთ...

— როგორ თუ არაფერი?

— ისე—არაფერი.

— მაშ რის სასტუმროა, თუ კი საჭმელიც არა გაქვს?

— დალოცვილო, საიდგან უნდა გვქონდესთ, მთელი ქალაქი რომ მოიაროთ, ერთს ჩიჩქნია ხორცს ვერ იშოვნით და მე რა უნდა ვქნა!

ამის შემდეგ მოგვიყვა და დაგვიწყო მოთხრობა უბედურ გორის მდგომარეობაზედ, რომელიც ჩაუგდიაო, რამდენიმე ყასბებს ხელში და რაც უნდათ, იმას უშვრებიან... ეხლა ხორცს ფასი ცოტაოდენი დააკლეს და ეს დაკლება არ ეჭაშნიკათ იმათ და გადაწყვიტეს, აღარ დაჰკლან საქონელი სანამ ფასს ისევ არ მოუმატებენ.

გვიკვირს და გვიკვირს გორის საქმე და ის არეულობა, რომელიც იქა სუფევს. წყალი მოვარდება გორელებს უნდა დავთარი დაეკარგოსთ და ველარ გაიგონ—რა ჰქნან და როგორ მოახერხონ რამე თავიანთ საშველად. ხიდი ჩაემლებათ გამოაშკარავდება, რომ ეს ხიდი ვიღაცა მემამულის ადგილზედ ყოფილა აშენებული და ამ ვიღაცის ნებაზედ ყოფილა დამოკიდებული, მისცემს კიდევ ხიდის აშენების ნებას, თუ არა! დაიფდა ყველაფერი გორის გარეშემო ადგილებში, გორს მაინც ვერ მოუხერხებია ისე დააიათოს რამე, რომ ამის გამყიდველთა და იმათ თანაშემწეთ მაშინათვე არ შეაყენონ იმ ნივთიერებით ვაჭრობა!

ერთის სიტყვით, აქ ისეთი არეულობა და უთავურობაა, რომ, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობულობს.

ასე მიდის გორის საქმეები და იმასთან იქ გამვლელ-გამომვლელის შეწუხება, რომელთაც პურიც კი ვერ უშოვნიათ საჭმელად არამც თუ სხვა რამე. და ეს ხდება იმ პირებისაგან, ვისაც თავიანთ ჯიბეების გავსება მოუწადნიათ, მაგრამ რა გაავსებს უძირო ჯიბეს და ან რა გაამლობს გაუმაძღარს თვალს?.. არაფერი და ამიტომაც გორელები მოთმინებით იქამდინ უნდა უყურებდნენ თავიანთ მტარვალების გარდანქებანურს მალაყებს, ვიდრე არ დაეჩვევიან თავის მმართველად ისეთი ხალხის ამორჩევას, რომელთაც შეეძლებათ სხვა თვალით შეხედონ, თავიანთ მოვალეობას საქვეყნო საქმეებში, სანამ ეხლანდელი გორზედ მზრუნველები...

—

ბოლოს როგორც იყო გავედით

ყველა შკოლებში სწავლა ქართულს ენაზედ მიდის.

ამ მომავალს ენკენისთვეში, როგორც ამბობენ, ქუთაისში იქნება კრება ქუთაისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კრება, სხვა-და-სხვა პედაგოგიურ საგნებზე მოლაპარაკებისა და პროგრამმების გამოკვლევის გარდა, მიიღებს თფ. გუბ. მასწავლებელთა კრების გარდაწყვეტილებას, მიიღებს და მიიღებს უბაასოდ, რადგან აქ ბევრი მოლაპარაკება და ბაასი საჭიროც არ არის: რომ ყველა ქუთაისის გუბერნიის ყველა სახალხო შკოლებში სწავლა უეჭველად ყმაწვილების სამშობლო, ე. ი. ქართულს ენაზედ იყოს.

ეს არის პირველი და უმთავრესი პრინციპი, დედა-აზრი პედაგოგიურის მეცნიერებისა; ამის დარღვევა დაუსჯელად არასოდეს არ ჩაივლის ხალხისათვის და ამიტომ თამამად ვაცხადებთ იმედს, რომ ახლანდელი მთავრობა კავკასიაში სწავლა-განათლების გავრცელებისა არასოდეს არ იკადრებს, რომ ამ დედა-აზრს წინ აღუდგეს, წინააღმდეგობა გაუწიოს.

## ახალი ამბები

—

გუშინ-წინ, 26 აგვისტოს, ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დღეს, ქალაქის ქუჩები, სახლები და მაღაზიები გაჩაღებული იყო დროშებითა და ფარნებითა. დილას სიონის სობოროში მოლევნა გარდაიხადეს და 21 ზარბაზანი ისროლეს. ალექსანდროვის ბაღი საღამოს აგრეთვე ჩინებულად გაჩაღებული იყო და აქ დიდ-ძალი ხალხი დასეირნობდა.

***

ამ უკანასკნელ დროს ციება და ზოგიერთი სხვა ავათმყოფობა გავრცელდა ჩვენს ქალაქში; განსაკუთრებით ხშირად ღარიბები ხდებიან ავათ. ამბობენ, ამის მიზეზი ის არისო, რომ ამ ჟამად საკმაოდ აცივდა ქალაქში და ხალხი კი ესევ ზაფხულის-დაგვარად ცხოვრობსო. ამას გარდა, ავათმყოფობის გახშირება უეჭველია იმასაც უნდა მიეწეროს, რომ დიდ-ძალი საზამთრო, ნესვი და სხვა ხილი შემოდის ახლა ქალაქში, ღარიბი ხალხი გაფუჭებულ, დამპალს ხილს ბევრსა სჭამს, და ეს სწყინს.

***

ჩვენ გვაცნობებენ, რომ დილმის სასოფლო შკოლა რამდენიმე ხანია, რაც დაკეტილიაო, რადგან მასწავლებელი არა ჰყავს სოფელსაო.

ამ სოფლის მამასახლისზედ გვწერენ, რომ ხალხი ძალიან ემდურებაო ბევრ უსამართლობას სჩადისო, აწუხებს გლეხებსაო და სხვ.

***

გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი ბ. სემიონოვი გაგზავნილია ამ ჟამად ყაზანში და სიმფეროპოლში იმ თათრის ვაჟებისა და ქალების სასწავლებლების გასაცნობაც, რომელნიც ამ ქალაქებში არიან გახსნილი. ეს გაცნობა ბ. სემიონოვს ეჭირება იმისთვის, რომ ამ გვარივე სასწავლებელი თათრებისათვის უნდა გაიხსნას წელს ზემოხსენებულ გორის საოსტატო სემინარიასთან.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ფოთი**, 22 აგვისტო. სხვისი ქონების დასაკუთრების მოყვარენი წინადადებულათ ნავარდობენ: ამ დღეებში ხელ-ახლა გასტეხეს ფოთელი როტშილდის—ცხაკუნია ურიას მაღაზია. ეს მაღაზია შუაგულ ქალაქში არის. როგორც წინეთ ეხლაც ქურდები ჩამოსულან ნახურავიდას, რაც მოსწონებიათ, მოუგროვებიათ და ისევ იმ გზით გაბძანებულან. სახურავი ისრე პატარათაა გარღვეული, რომ საჭიროა ამაში ცოტათი მაინც მოზდილი კაცი ჩამძვრალიყოს, დამნაშავენი ჩვეულებრივ, ჯერ არ აღმოუჩენიათ. ჩვენს პოლიციაზე ბევრს ცუდს რასმე ლაპარაკობენ; მაგრამ ჩვენ ფოთელებს ვვჯერა ბ. პოლიციიმეისტრის კეთილგონიერება და დარწმუნებულნი ვართ რომ ის მიიღებს რადიკალურ ზომებს ამ გვარი ცუდი საქმეების მოსასპობელათ, რომელთა მგზავსს ამ უკანასკნელ დრომდის სულ არ ვიყავით შეჩვეული.

მივაქცევ ბ. ფოთის პოლიციიმეისტრის ყურადღებას იმ გარემოებაზედ, რომ ღამის დარაჯს აზხოდს ფანრით რომ ეძებო მთელი ღამე ვერ ჰნახავ, მაგრამ თუ ამათი ხასიათი იცით, მოძებნა ადვილია: მიდით საროსკიპოში და იქ, რა დროსაც გინდათ, ყველას თავ-მოყრილს ნახავთ.

ამას წინეთ თქვენ გაზეთში წავიკითხე ვიღაც ილ. ჭიგინაძის აქედან გამოგზავნილი შენიშვნა მის შესახებ რომ გამომცხვარ პურს ძალიან ცუდი თვისებისას ჰყიდიანო. მის შემდეგ. მეორე თუ მესამე-დღეზედ მშვენიერის პურის ცხობა დაიწყეს. ვისურვებ, რომ ყველაფერს რაც დაიწერება აქედან ისეთივე ყურადღება მიექციოსთ, როგორც ამ შემთხვევაში.

აგერ ათი დღე განმავალობს, რაც აქეთკენ შეუწყვეტლათ სწვიმს. რამოდენიმე დღე თუ მაინც კიდევ გასტანა ამ გვარმა ამინდმა, ჩვენი იმედები უხვ მოსავალზედ სრულიად ჩაიფუშება.

ჭ—ველი.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო! მე ვაგიგე, რომ ქალაქში მყოფ მოსამსახურეებს მოუსურვებიათ შეადგინონ საზოგადოება, სახელათ: „მოსამსახურეთ იმერლების საზოგადოება ქ. ტფილისში“.

ეს საზოგადოება ისეთი სასარგებლო და ყურადღების ღირსი საზოგადოებაა, რომ ჩემს მოვალეობათა ვრაცხ შეგატყობინოთ, თუ რა აზრით აპირებენ ამის შედგენას და ამისათვის მომყავს ის დედა-აზრები, რომელიც უმთავრესი საბუთები იქნება საზოგადოების მოქმედებაში:

1) საზოგადოებამ უნდა გახსნას „ბიურო“ (კანტორა), რომელმაც უადგილო მოსამსახურეებს უშოვოს ადგილები.

2) საზოგადოებამ უნდა დაიცვას ყოველი ქალაქში მყოფის თავის მწევრის მოსამსახურის ინტერესი და იზრუნოს იმათ ქვრივებზედ და ობლებზედ, რომელნიც იქმნებიან ქ. ტფილისში. აგრეთვე უნდა მოუაროს ამათ ვინც ამ მოსამსახურეთაგანი ავათ გახდება და უპატრონოთ დარჩება.

3) გამართონ „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“, საზოგადო დაწესებულებათა-თანახმად.

4) გამართონ იმისთანა სამზარეულო (სასტუმრო), რომელშიაც მუშა ხალხს შეეძლება მიიღოს სადილები რამდენათაც შეიძლება იაფათ.

5) მიიღონ მზრუნველობა სოფლებიდგან ახლად ჩამოსულს ხალხზედ, რომელნიც კი მოსამსახურეთ დასადგომათ ჩამოვლენ, რათა ამ უკანასკნელებს ჩქარა ადგილები უშოვნონ და ქალაქში დიდხანს უსაქმოთ არ დააყენონ.

6) ამ საზოგადოებაში წევრათ მიიღება ყველა სარწმუნოებათა და გვარტომობის ხალხი, უკეთუ ორი მწევრისაგან იქნება წარდგენილი სანდო კაცათ.

---

ზორიდგან და მივახლოვდით ჩვენს მოგზაურობის საგანს-ს როჟისს. მშვენიერი მოსავალი გზის მარცხნივ და მარჯვნივ. აი ბაღებშიაც შევედით, ორღობეებსაც ავცდით, სოფელშიაც რამდენჯერმე მიუხვივ-მოუხვიეთ და გამოჩნდა დიდი ჩინებული თლილის ქვით ნაშენი საყდარიც. ჩვენ ვერ მოვასწარით საკმაოდ დავმტკბარიყავით იმ წარსულის დროების მოგონებით, როდესაც საქართველოს იმდენი ღონე და ძალა ჰქონდა, რომ ამისთანა მშვენიერ შენობებს აგებდა, როგორც ოცნებიდგან გამოგვიყვანა რაღაცა ხმაურობამ.

— ჩხუბი! დაიძახა ერთმა ჩემთან მყოფმა და გადაჰხტა ტარანტასიდამ. იმას გადავყევით ჩვენ და მართლაც თვალ-წინ წარმოგვიდგა საშინელი შეუწყალებელი ჩხუბი!.. კეტები, სახრეები, კომბლები, ხანჯლები ერთმანერთში ისე ირეოდა, როგორც დომხალი! აქ ხედავთ—მოხდა კეტი მშვენიერს მოწიფულს ვაჟკაცს და ოთხათ თავ-გაჩეხილი ეცემა ძირს; მეორეს უყურებთ—მოხვდა ხანჯალი და ახლათ ამღილი ბუსუსიანი წითური ლოყა გაჩეხა, და დამახინჯებული პირის-სახე წითლათ სისხლით შეიღება; იქ უყურებთ პატარა ქალს, რომელიც შეშინებულის ხმით იძახის: „—ვაი მამილო, მამილო-ო!..“ იქ კოხტათ თავ-დახურულს ქალს გული უწუხდება, რადგანაც თავის სატრფოს დაჭრილს უყურებს; იქ კიდევ დედა აბრუნებს თავის სანატრელს შვილს რომელიც ველარ მოუბრუნებია და ცრემლებ გამშრალი მეტის მწუხარებით, როგორც პირუტყვი ისე დაბღავის...

სცემენ, სჭრიან, ამტრევენ თავ-პირს ერთმანერთს.. მაგრამ ვინ არის გამშველებელი?.. არც ნაჩალნიკი, არც პრისტავი, არც ყაზახები, არც მამასახლისი იქ არ მოიბადებოდა და ეს ამოდენა ნასვამი, გამხეცებული ხალხი თავ-მინებებული ვინ იცის რა უბრალო საქმეზედ ქლეტამს ერთმანერთს? თუ ეს ბატონი მართველები სადმე როჟისში იყვნენ, რასაკვირველია, კარგ სადილზედ, რომელიმე იქ მყოფ მებატონესთან ბძანდებოდნენ და დაავიწყდებოდათ გლეხებიც და თავიანთი მოვალეობაც.

მაგრამ ვის რა ენაღვლება, აქ თუ რამდენიმე გლეხ-კაცი მოაკლდა თავის ჯალაბობას? ვის რა ენაღვლება, თუ მთელი ოჯახობის შემნახავი ვაჟ-კაცი შეიქნება რომელიმე გალოთებული კაცის კეტისა, თუ ხანჯლის მსხვერპლად? აქ ხომ მართველებს არ ეშინიანთ, რომ იმათ უყურადღებობას უმაღლესი ვინმე შეამჩნევს და ჩემისთანა ფელტონისტმა-კი რაც უნდა ჯღაბნოს, ბევრს-კი ინაღვლებენ!..

. . . . . . . . .

. . . . . . . . .

ბევრი ვეცადე, რომ შემეტყო ჩხუბის მიზეზი, მაგრამ საუბედუროთ გადაწყვეტილი ვერა შევიტყე-რა. ზოგი ამბობდა, ვითომ ვიღაცა ოსმა ღვინო დალია, ფულს აღარ აძლევდაო და ამაზედ ატყდა ჩხუბი; ზოგი ამბობდა, რომ გორული შეხუმრებოდა ვიღაც ოსს, ქუდი მოეხადა იმისათვის და ტალახში ჩაეგდო, ეს ოსსა სწყენოდა, დაეკრა და ამაზედ ატყდა ეს ცემა-ქლეტაო; ზოგი პირდაპირ იძახდა, რომ დიდი ხანია, რაც გორელები უჩხუბრათ არ დაბრუნებულან დღეობიდგანო და სხვ.—ასე, რომ იმათ ლაპარაკიდგან გადაწყვეტილს ვერას გაიგებდით.

მე-კი ასე მგონია, რომ ყველას მიზეზი გადაჭარბებული ღვინო და მამასახლისის უყურადღებობა უნდა ყოფილიყო და თითონ ჩხუბის საგანი-კი ლაპარაკის ღირსიც არ იქნებოდა.

მაშინ რომ ახლო-მახლო ბ. მამასახლისი მაინც ბძანებულიყო, ეს ჩხუბიც არ მოხდებოდა.

მაჩხუბრები დასუსტდნენ ერთმანერთის ცემით: კეტის მცემლებს დაეღალათ მკლავები ქნევით, მეხანჯლეებს გასცვივდათ ხანჯლები ხელიდგან და როდესაც ოც კაცამდინ დაკოდილნი და დაჩეხილნი შეიქნენ, და ჩხუბი დაღალვისაგან შესუსტდა, მხოლოთ

7) კანტორამ უნდა თვალ-ყური ადევნოს თვისაგან დაყენებული მოსამსახურეების ყოფა-ქცევას და ამ მოსამსახურეებთაგან რომელიმე მხრით შესანიშნი მოქმედება ჩაწერონ წიგნში, რომელიც უნდა ჰქონდეს ამ კანტორას. აქედგან მიეცემა ყველა მსურველ მოსამსახურეს მოწმობა თავის ყოფა-ქცევაზედ.

8) მსევე „ბიურო“ იზრუნვებს, რომ მოსამსახურეებს დამქირებისაგან შევიწროება არა ჰქონდესთ და ჯამაგირები ეძლიოს თავთავის დროზედ.

როგორცა ხედავთ, ეს საზოგადოება აპირებს, როგორც მოსამსახურებისათვის, აგრეთვე იმათ დამქირებისათვის ერთს ისეთს სასარგებლო საქმის გამართვას, რომელიც ყველა სინიდისიანი კაცის თანაგრძნობის ღირსი არის. რამდენიმე ყმაწვილ-კაცს მიუღია თავის თავზედ ამ საზოგადოებისათვის წესდების (უსტავის) შედგენა, რომელიც წაეკითხება ხელის-მომწერს მოსამსახურეებს, შესწორდება და წარედგინება ბ. ტფილისის ღუბერნატორს ნება-დასართველად და დასამტკიცებლად.

ამ ქამად დამფუძნებელ წევრებათ ითვლება 150 კაცამდინ, რომელთ საერთო კრილობა ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს და მაშინ შევატყობინებთ უფრო დაწვრილებულს ამბავს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეს საზოგადო კრილობა.

ვგონებ, ეს გარემოება იმდენად შესანიშნავი იყოს, რომ ყოველ ამ საზოგადოების გადაწყვეტილებას განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ როგორც მკითხველმა საზოგადოებამ, ისე იმ მწერალმა ხალხმა, რომელიც ინტელიგენციათ ითვლება ჩვენში. აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ისინი არ დაიზარებენ ამ „დამფუძნებელთ წევრთ“ კრილობაში მოსვლას, რომ რომელიმე რჩევით შემწეობა მისცენ ამ საზოგადოების დასაწყისს.

ა. მოჩხუბარიძე.

# რუსეთი

რუსულს გაზეთს მოლვაში ნაამბობია შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ჩვენ ყოვლის შეუნიშვნელად ვბეჭდავთ. ამ ამბის ავტორი არის თვით მოლვის რედაქტორი ბ. პოლეტიკა:

„1867 წელს გაზაფხულში ფინანსთ ნამინისტრალმა მ. ხ. რეიტერნმა ერთხელ მკითხა,—რატომ თქვენი ქარხანა წინადადებას არ მისცემსო მმართებლობას ლოკო-მოტივების გაკეთების თაობაზედო.

„მე მიუგე, იმედი არ გვაქვს, რომ ჩვენი წინადადება მიიღოს გზების სამინისტრომ—მეთქი.

„წინადადება ჩემს სახელზედ შემოიტანეთო.

„მე დიდი ხანი არ მიცდია; რამდენიმე დღის შემდეგ გამოვეცხადე წინადადებით. მინისტრმა ის ჩემ თვალწინ წაიკითხა, ორიოდე ადგილი შესცვალა და ზედ შემდეგი განაჩენი დააწერა:

„თუ გზების სამინისტრო გამოსადეგად ჩასთვლის ამ წინადადებას, ფინანსთ სამინისტროის მხრით დაბრკოლება არ იქნება ამისათვის საჭირო ფულების გასაცემად. მ. რეიტერნ.

„ამ ქაღალდის გადმოცემის-თანავე მინისტრმა მითხრა, რომ თვითონ მე წარმედგინა იგი პ. პ. მელ-ნიკოვთან (გზების მინისტრთან). მე დიდი ხნის ნაცნობი ვიყავი განსვენებულის პავლე პეტრეს ძისა და დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი ჩემი წინადადების ასრულების სრული მოწადინე იქნებოდა. მართლაც, იმან კმაყოფილებით წაიკითხა ფინანსთ მინისტრის ზედ წასწერა და დამაიმედა, რომ გზების სამინისტროის მხრითაც უთუოდ არივითარი დაბრკოლება არ იქნებაო. ამასთანავე მითხრა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ შემოდითო, რადგანაც თქვენი წინადადება უფროსს კომმისიას უნდა გადავსცეო (ეს კომმისია უფრო უალრესთ საქმეების განსახილველად იყო დანიშნული). სამი დღის შემგეგ მელნიკოვმა თვითონ მამიწვია, მიჩვენა კომისიისა ჩემდა სასარგებლო მოხსენება და საქმის გათავება მომილოცა.

„—ახლა რა ვქნა—მეთქი?—ახლა დეპერტამენტში მიბრძანდით პირობის შესაკვრელადო, მითხრა მინისტრმა.

„რადგანაც ჯიბეში ორი სათანადო სამინისტროთა გადაწყვეტილება მედვა, ჩვენ საქმე გათავებული გვეგონა და საჭირო სამზადისს შეუდექით, რომელსაც კაი—ძალი ფული მოუნდა.

„ერთი კვირის შემდეგ სარკინისგზო დეპერტამეტში წაველი და მინდოშემეტყო და პირობის შეკვრა რა დროს შეიძლებოდა.

„—ერთი კვირის შემდეგ მობრძანდითო.

„დანიშნულს დროს მიველი. მითხრეს, ორი კვირის შემდეგ მოდითო. ამ ნაირათ თვე ნახევარი მატარეს. მეუბნებოდენ დეპერტამენტი ერთი ქარხანის გახსნის ნებას ვერ მოგცემსთო, რადგანაც ეს მონაპოლია გამოვაო. ერთად უნდა გახსნათ ექვსი ქარხანაო. ამისთვის ჯერ ფინანსთ მინისტრის თანხმობას გამოვითხოვთ და მერეთ ცნობებს შევკრებთ—თუ რა ადგილებს უნდა გაიხსნან ეს ქარხნებიო.

„—ღმერთო ჩემო, ჩვენ ხარჯი გავსწიეთ, ეს რასა ჰგავს, თუ ასე იქნა საქმე რამდენიმე წლით გაგრძელდება...

„—ასეა, სხვაფერ არ შეიძლება...

„მიველი მელნიკოვთან. იმანც მითხრა, დეპერტამენტი მართალია, მონაპოლიას ვერ შევქნითო. „წაველი ფინანს მინისტრთან.

— მე არ მესმის მათი მოთხოვნილებაო, მითხრა მ. ხ. რეიტერნმა: მე ძალიან მიხაროდა ერთი ქარხნის გახსნაც რომ შესაძლოდ დავინახე და ისინა კი ერთად ექვსი ქარხანის გახსნას თხოულობენ, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ!

„მე წელი მომწყდა. ამის გამოისობით ჩვენი ქარხანა ვალში ჩავარდა, არ ვიცოდით რა გვექნა. გავიდა ხუთიოდე თვე. საქმე დალუპული გვეგონა. ერთიც ვნახოთ, სარკინის-გზო დეპერტამენტის მწერალი მოდის ჩემთან და მეუბნება, თქვენ შეგიკვეთენო ლოკომოტივის გაკეთებასო. მე მიუგე, ამაზე აღარც ვფიქრობთ—მეთქი.

„—არა, ბატონო, ადვილი საქმეა მხოლოდ თქვენ ისე არ დაგიწყიათ, როგორც უნდოდა, ადოლფ ადოლფის ძესთან მიბძანებას არ ინებებსთ?

„—ვინ არის ეგ ადოლფ ადოლფის-ძე?

„—ბატონი ვ...

„მე მოველაპარაკე განსვენებულს ჩემს ამხანაგს და წაველი ად. ადოლფის-ძესთან.

„ადოლფ ადოლფის-ძემ გარკვეულად და გადაჭრილად მთხრა:

„—ეს ისე, ის ასე კი, მაგრამ... ოცდა-ხუთი ათასი (25,000) მანეთია საჭირო. დეპერტამენტი ტყუილად ხომ ვერ იშრომებს.

„რაღას ვიზამდით. შეკვეთის მიღების იმედი დაკარგული გვქონდა და რაც ამ იმედით ხარჯით გავწიეთ, არ ვიცოდით რითი აგვევსო. მეორე დღეს ადოლფ ადოლფის-ძეს მივართვი ოცდა-ხუთი ათასი (25,000) მანეთი.

„და ამ ნაირად საქმე გავარიგე ძალიან მოკლე ხანში.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები:** ინგლისურს გაზეთს *Standard*-ს აცნობებენ, რუსის

---

მაშინ მობძანდა მამასახლისი, კარგა ლაზათიანათ გაქენთული და დაიწყო თავის მოქმედების ასრულება, დაიჭირა ხუთიოდე ოსი.

ხალხი დაშოშმანდა, მარტო მამასახლისი-ღა ყვიროდა. რაზედ? ვგონებ თითონაც ვერ გაეგო. აქა-იქ გამოჩნდებოდა ოსები, რომლებიც სოფელში ყოფილიყვნენ და ჩხუბში არა რეულიყვნენ; დაინახავდა თუ არა იმათ ხალხი, მაშინათვე ეძგერებოდნენ, სცემდნენ კარგა ლაზათიანათ და ისე გაუშვებდნენ. სულ თორმეტი ოსი იყო; ამათ აბრალებდნენ პირველად ხანჯლის ხმარებას.

ასე მიდიოდა საქმე ვიდრე მზე გადაიხრებოდა და კეთილ-შობილნი სადილიდგან აბძანებას ინებებდნენ.

ვნახოთ ხალხში მობძანდა ცხენით ჯერ ერთი აზნაურთაგანი, მერე მეორე, მერე თავადებიც გამოჩნდნენ. ყველა სწუხდა ამ ჩხუბზედ, ყველა თანაუგრძნობდა დაჭრილების მდგომარეობას, ასე რომ სასიამოვნოც-კი იყო იმათი ყურება. მეტის-მეტათ სწუხდნენ, რომ იქ არ იყვნენ და ვერ გააშველეს ტყუილ-უბრალოთ მოჩხუბარი ხალხი.

ამ დროს გამოჩნდება ერთი მხედარი, შტატკურს ტანისამოსში, თვალებზედ სათვალებ-მიფარებული და საშინელის მრისხანეს სახით შესძახებს მამასახლისს.

— შენ გაბედე ჩემი ოსების დაჭერა?.. ის კი არ გეყოფა, რომ აცემინე და დაჭერაც-კი გაბედე?

ამ სიტყვებთან ერთათ გადაჰკრავს რამდენიმე მათრახს მამასახლისს; სხვა იმასთან მყოფი მხედრებიც საპატიმროს კარებს გაუღებენ ტუსაღებს და გამოუშვებენ დამწყვდეულებს...

მე, რასაკვირველია, გამიკვირდა ეს მოქმედება შტატკური ტანისამოსიანისაგან, რადგანაც ის უფრო განათლებულს ემგზავსებოდა, უნდა სცოდნოდა, რომ მამასახლისის გაუპატიურება არის უპატიურება მთელის იმ საზოგადოებისა, რომელმაც ის ამოირჩია. ბოლოს შევიტყე, რომ ეს პატივსაცემი პირი ერთ მებატონეთაგანი ყოფილა, თ. დ. ც—შვილი, რომლის მამულშიაც მდგარან ხიზნებად ის ოსები.

საზოგადოთ საქართველოს სოფლებში ისეთი მამასახლისები ხვდება, რომელთაც ხალხისაგანაც პატივი აქვსთ დაკარგული და მებატონეებისაგანაც, როგორ ვინმე გაბედამდა ხალხისაგან ამორჩევით დაყენებული კაცისთვის ურიგო სიტყვაც ეთქვა, არამც თუ მათრახით ტყავი გეეძროთ და თითონ მამასახლისს ამ გვარი შეურაცყოფა მოეთმინა?.. ანდაზა განა ტყუილს ამბობს: „როგორიც მღვდელი,—ისეთიც ერი“.

ერთის მხრით ესეც კი უნდა ვსთქვათ, რა დაუშლის მაგისთანა თავგასულს მებატონეებს? დამოკიდებულება კარგი ჰყავს და შემწენი! მართალია საბოლოოსათვის იფიქრებენ და ეცდებიან, რომ ესეც სხვა და სხვების მიზეზებით მებატონეებზედ გულ-ალსენილს გლეხ-კაცობას ცოტაც არის დაუახლოვდნენ, ჩაასმინონ იმათ და თითონაც გაიგონ, რომ ორთავესი ინტერესი ცხოვრებაში ერთია და მხოლოთ ერთმანეთში ძმური სიყვარული მიაღწევინებს სანატრელ ბედნიერებას, და აგრე მოქმედება—კი ევვანება ცეცხლზედ ნავთის დასხმას და ისეც დაშორებულნი აწმყო მდგომარეობისაგან უფრო დაშორდებიან ერთმანეთს?!

მაგრამ რაც უნდა უთხრა ისე თავგასულს ხალხსს, როგორებიც ბძანდებიან ბ. დ. ც—შვილი და მაგის გზავსი სხვებიც, სიცილით ყურს-უგდებენ ამგვარ სიტყვებს და ჰფიქრობენ, რომ რაკი გლეხ-კაცი არის, იმას არც არაფერი უფლება არ უნდა ჰქონდეს...

„სოფელი ვენახე უძაღლო, ამოვიარე უჯოხო.“ ამათზე არის ეს ნათქვამი...

ა. მ.

ვიცე-ადმირალს კრემერს ბრძანება მიუვიდა, რომ მზად იყოს ადრიატის ზღვაში წასვლისათვის, სახელდობრ კატარრის ზღვის-უბანში, სადაც უნდა მივიდნენ აგრეთვე ინგლისის ადმირალი სეიმური და სხვა სახელმწიფოების სამხედრო გემებიც.

ეს ცნობა სრულიად მართლდება რაგუზიდამ დღეს მიღებულ და ზემოთ დაბეჭდილ ტელეგრამმებით

—

უკანასკნელ სხდომის დროს ევროპის ოსმალეთში რეფორმათათვის დანიშნულს ევროპის კომმისიას მიუღია ავსტრიის და საფრანგეთის კომმისარების წინადადება, სკუტარის სანჯაყს მიეცეს სრული თვით მმართველობის უფლება. კომმისია თანახმაა აგრეთვე მთელი ალბანიის ერთ ოლქად გადაკეთებაზე.

—

საფრანგეთის გამოჩენილს მეცნიერს ფიზიოლოგს პოლ-ბერს წარმოუთქვამს მჭევრ-მეტყველური სიტყვა მუნისიპალურ სკოლების შაგირდებისათვის ჯილდოთა დარიგების დროს, რომელშიაც მას მოუხსენებია საფრანგეთ-ჰერმანიის შორის ომის დროის ამბები და დასასრულს უთქვამს „გახსოვდეთ, არ დაივიწყოთ!“

—

სტამბოლში თან-და-თან ძლიერდება ხალხის უკმაყოფილება ხონთქარზე და მისს მმართებლობაზე. ამას წინად, ამ უკმაყოფილოთა შემდეგი განცხადება გაუკრავთ სტამბოლის შენობათა კედლებზე:

„ზანა შეიძლება ჩვენ რამე ხეირს ველოდეთ ოსმანის გვარისაგან? ჩვენ სრულიად დაღუპულნი ვართ სულთანობისაგან; ჩვენი შველა ეხლა მხოლოდ სამართლიანობას და თავისუფლებას შეუძლია. მაჰმადმა სთქვა, ხალიფობა მხოლოდ ოც-და-ათს წელიწადს უნდა გაგრძელდესო და მაშასადამე მისი ხანგაგრძელების მოწადინება წინასწარმეტყველის უფლების ურჩობა იყო. ოც-და-ათი წლის შემდეგ მოავიამ სულთანობა მოიგონა და მას აქეთია ეს სენი უწყალოდ ჰხრავს ჩვენს კეთილ-დღეობასა. მო თურქებო, თურქის შვილებო, გავაქარწყლოთ მოავიას მოგონილი სულთანობა და აღვადგინოთ წინანდელი წმინდა ისლამი. ხელ ახლავ გამოვიწვიოთ ბედნიერების და კეთილ-დღეობის მშვენიერი დღენი. შევკრიბოთ ჩვენი დეპუტატები და ამოვირჩიოთ ახალი წინამძღომელი!“

—

პარისის გაზეთებში ვკითხულობთ ვითომც მმართებლობა და სასულიერო კონგრეგაციები (იეზუიტების გარდა) ერთმანეთთან შეთანხმებულიყვნენ.

—

გაზეთების ცნობით საბერძნეთის სამეფოს ბრძოლის ველზე შეუძლია 31,000 გაწრთვნილი ჯარის კაცის გამოყვანა, მათ შორის: 26,000 ქვეითი ჯარი (18 ბათალიონი ქვეეით და მსროლელი) ერთი ხუთ-ესკადრონიანი ცხენოსანი პოლკი, 12 ბატარეია 72 ზარბაზნით და 2,500 კაცი, 750 პიონერები და 320 სანიტარები.

გასაჭირის დროს შეიძლება მხედრობის რიცხვი 100,000-მდე აიყვანონ და გარდა ამისა 50,000 საგვარტომო ჯარი მოჰკრიბონ.

—

გერმანიის იმპერატორს გამოუცია ჯარისადმი მიმართვა, რომელშიაც იხსენებს ათი წლის წინად მოხდენილ საქმეებს, სედანთან გამარჯვებას და რამდენჯერმე მადლობას უძღვნის ჯარს. შემდეგ სურვილს უცხადებს, რომ ჯარი დღეის იქითაც თავის ვალდებულების სამაგალითოდ ამსრულებელად დარჩეს, უმკაცრესი დისციპლინა დაიცვას და ომისათვის დაუღალავად ემზადებოდეს. როცა ამ რიგ მდგომარეობაში იქნებაო გერმანიის ჯარი, მაშინ იგი ჩაითვლება სამშობლოს მამაც დამცველად მომავალ დროების სასტიკ განსაცდელთაგან, რომელთაც ჩვენის თავიდამ აცდენას ღმერთი ინებებსო.

# განცხადებანი

—


კავკასიის ვაჭრებს
ქ. გორში გაიღო
მარიამ კერესელიძისაგან
ქართული წიგნის მაღაზია

და იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

Изъ Гори, въ книжній магазинъ Марія Кереселидзе.

(12—1)

---

რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის შეგირდს ჰსურს აძლიოს გაკვეთილები (განსაკუთრებით მათემატიკის) და ბინა იქვე ჰქონდეს.

ადრესი: „დროება“ - „ივერიის“ რედაქცია.

(5—2)

---

ახლად გაღებული
**ზ. ჭიჭინაძისაგან**
ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლი წ წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2. (5—4)

---

სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.

(10—7)

---

მომავალი წლის პირველი იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

**„მიმოხილვა“**

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარ წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანის და ამხ წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ქარვასლაში ბიბლიოთეკა №145

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквiани.

რედაქტორი ნინა გაბაშვილი.

(6—4)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—44)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ საგაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

**სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა**

NOUVEAUTÉS PARISI-ÉNNES


ეროვნული ბიბლიოთეკა


ფ ი მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

მივიღეთ დიდ-ძალი ჩაი პირ-დაპირ პლანტატორებისაგან—ინგლისის მაღაზიაში.

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინაალმდეგი წამალი.

(10—7)

---

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—13)

---

მურაბა გემრიელი, კანფეტების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პაროშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—38)

---

**ინგლისის მაღაზია**

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები; მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—16)


Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Августа 1880 г. Типографя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი